10 (22) ივნისი, 1866. № 15. პირველი წელიწადი.

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
| --- | --- |
| ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან. |
| 10-ის თვისა — 6 — | — — — 5 — |
| ნახევრის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, შელკოვნიკოვის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ა. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება: — კამმისიისაგან, რომელიც მიწას ჩამოართმევს მეპატრონეთ რკინის გზის გასატარებელად ტფილისის გუბერნიაში. — საფოჩტო ეკიპაჟების უმთავრესის კანტორისაგან. — ასრულებაში მოყვანა წეს-დებისა სოფლების საზოგადოების და სასოფლო სამმართველოების შესახებ კავკასიის აქეთ მხარეში. — ანგარიშის წარდგენა ლოჭინის ხუტორის მმართველისა სამეურნეო საზოგადოებისადმი. — პოლიტიკა: — ავსტრია. — დანია. იტალია. დუნაის სამთავროები. — ოსმალო — ტელეგრამმები. — სალიტერატურო ნაწილი: ისტორიული მოძრაობა განათლებისა. — ფელეტონი: ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ. — სახაზინო და კერძოობითი განცხადებები.

### მმართებლობის განკარგულება.

**კამმისიისაგან, რომელიც მიწას ჩამოართმევს მეპატრონეთ რკინის გზის გასატარებლად ტფილისის გუბერნიაში.**

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ნებით დაწესდა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის პაპარიგოპულოს თავს-მჯდომარეობით (подъ предсѣдательствомъ) კამმისია, რომელსაც მინდობილი აქვს, რომ მორიგდეს იმ მიწისა და მამულების მეპატრონეებთან, რომელნიცა რკინის გზის ხაზის ქვეშ უნდა დარჩნენ ტფილისის გუბერნიაში. კამმისიამ უნდა აღწეროს ეს ადგილები და თუ, ვინიცობაა მეპატრონეებს ვერ მოურიგდა, მაშინ იმან უნდა დააფასოს ისინი.

რადგანაც კამმისიამ ტფილისის უეზდში შეასრულა თავისი მინდობილება, ახლა ის უნდა შეუდგეს თავის მოქმედებას გორის უეზდში, რომელიც ჯერ გამიჯნული არ არის. ამისთვის კამმისია მოიწვევს ყველა მეპატრონეებს, რომლების მამულებზედ და მიწებზედ რკინის გზის ხაზი კიდეც გაკლებულია. ეს ხაზი იწყება გრაკალიდამ, ქ. გორის მახლობლივ გაივლის, და თავდება ორგორების სტანციასთან. მეპატრონეები ან თვითონ უნდა მოვიდნენ ან თავიანთი ვექილები უნდა გამოგზავნონ, ვადით ამ ივნისის 7—12 რიცხვამდე გორის უეზდის ნაჩალნიკთან, რომ გამოაცხადონ თავიანთი სიმართლე ზემოთ განმარტებულს მიწებზედ და მამულზედ. იმათ იმ დროსავე თავის ადგილების საზღვარიც უნდა უჩვენონ ადგილობრივ გამმიჯნავს მთავრობის მოხელეს, (межевому чиновнику) რომელსაც მინდობილი აქვს, რომ აღნიშნოს ეს საზღვრები რკინის გზის ზემოხსენებულის მანძილის პლანზედ, და გაზომოს, თუ რამდენი სივრცე მიწისა, ბაღისა და მამულისა სახელდობ თვითოეულს მეპატრონეს ჩამოერთმევა რკინის გზისათვის.

როგორც კი ამ საქმეს აღასრულებს, კამმისია დაუყონებლივ შეუდგება მორიგებას მეპატრონეებთან, აღწერს და დააფასებს იმათ მამულებს და მიწებს, რომელნიც რკინის გზისათვის ჩამოერთმევათ.

— **საფოჩტო ეკიპაჟების უმთავრესის კანტორისგან.** საფოჩტო ეკიპაჟების დამწესებელი უმთავრესი კანტორა გამოაცხადებს საყოველთაო საცნობლათ, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლაოზის ძის ნებართვით ამ ივნისის 5-დამ მთელს ზაფხულში ივლიან საფოჩტო ომნიბუსები ტფილისიდამ ბორჯომამდე.

პასსაჟირებს (მგზავრებს) ისევ იმავე პირობებით წაიყვანენ, რა პირობაც იყო უმაღლესად დამტკიცებულის წესდების ძალით ტფილისსა და ვლადიკავკაზს შუა ეკიპაჟთ წასვლა—მოსვლაში.

**ასრულებაში მოყვანა წესდებისა სოფლების საზოგადოების და სასოფლო სამმართველოების შესახებ კავკასიის აქეთ მხარეში.**

ასრულებაში მოყვანა წესდებისა შესახებ სასოფლო საზოგადოებისა და სასოფლო სამმართველოებისა კავკასიის აქეთის მხრის სოფლებში დიდათ სასარგებლოდ აღმოჩნდა და მომავალში ბევრს კარგს იმედებს გვაძლევს.

ჩვენ კმაყოფილებით მოვიხსენებთ ერთს შემთხვევას, რომ არ დავივიწყოთ ამ ხალხის საზოგადო საქმის დასაწყისი.

დიდის და პატარის ლიახვის გაყოლება სოფლების მამასახლისები და მსაჯულები, თავიანთის საზოგადოების თანხმობით, შეიკრიბნენ სოფელს კოშკში, წმინდა თეოდორე ტირონის საყდართან, და დასდვეს განკარგულება ზოგიერთს ძველ ჩვეულებაზედ, რომლებიც სამძიმოა იქაურის მცხოვრებლებისთვის და ამასთან ზნეობასაც ეწინააღმდეგებიან.

გაუქმებულნი ჩვეულებანი შემდეგნი არიან:

1) ოსებს ჩვეულებათა აქვთ, რომ ვისაც ცოლის შერთვა სურს, იმან ნათესავების თანხმობით და შემწეობით უნდა მისცეს თავის სიმამრის ოჯახს სამოცი, ორმოცი, ან ოც და ათი ძროხა, ამაზედ ნაკლები არ შეიძლება, და ამის გარდა ორმოცდა ათი მანეთი. ამას ოსურად ი რ ა დ ს ეძახიან. საქონლის და ფულის ჩაბარების შემდეგ, პატარძალს სახლში უნდა ეწვევიონ ხოლმე სიძის მაყრები. ესენი დარჩებიან სტუმრათ ერთს კვირას; ამ კაცებს რიგით მიიპატიჟებენ პატარძლის მონათესავები, სადაც ეს მაყრები დაჰყოფენ ერთს დღეს. შემდეგ როცა ესენი სასიძოს სახლში წასასვლელათ მოემზადებიან, გაშლიან პატარძლის სახლში ნაბადს და ითხოვენ სხვა და სხვა საჩუქარს: რა კი მიიღებენ საჩუქარს სასიძო მაყრები და თვით პატარძალსაც თან წამოიყვანენ ხოლმე სახლში; ხან და ხან პატარძალი მცირე წლოვანიც არის ხოლმე, როცა იმას სასიძოს სახლში მოიყვანენ. საზოგადოებამ გადააგდო ეს ჩვეულება და დააწესა, რომ, თუ ვისმეს სურს ცოლი შეირთოს, იმან თავის საცოლოს 20 დამ 50 მანეთამდე უნდა მიუტანოს ხოლმე პირის სანახავად, მაგრამ მეტი კი არა; ერთის სიტყვით საჩუქარი შეძლებისამებრ უნდა იქნას; პატარძლის სახლობას კი თვითონ არ შეუძლიან არც პირუტყვი, არც ფული და არც ნივთი საქმროს მოსთხოვოს. საქმრო და მაყრები სიმამრისა და იმათ ნათესავების სახლში მთელს ერთს კვირას არ უნდა დარჩნენ. საქმრომ უნდა ჯვარი დაიწეროს მიუცილებლად იმ წესით, როგორც მართლ-მადიდებლის სარწმუნოება მოითხოვს და საცოლო უეჭველად სრული წლოვანი უნდა იქნეს. ჯვარის დაწერის შემდეგ ქმარმა, რაც შეიძლება, მალე უნდა წაიყვანოს თავისი ცოლი თავის სახლში. არც ქმარს, არც პატარძალს, არც მაყრებს არ შეუძლიანთ პატარძლის სახლობიდგან მოითხოვონ საჩუქარი. თუ ვინმემ საზოგადოების წევრთაგანმა მოითხოვა, რომ ის დააკმაყოფილონ უწინდელს ჩვეულებისამებრ, იმისი თხოვნა არსად არ უნდა მიიღონ და, თუ ვინმე შემდეგ ახლანდელს დაწესებაებს არ დაემორჩილა, სასოფლო მსაჯულებს ნება ექნებათ სოფლის სასარგებლოდ ჯარიმა გადაახდევინონ და ამისთანა შემთხვევაში სოფლის მსაჯულები ისე მოიქცევიან, როგორც 1865 წლის 11 აპრილის სასოფლო წეს-დება მოითხოვს.

### ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ.

II.

— ჩვენი ბედკრულაძე ახლა შეშის მეიდანზედ დგას. ძალაზედ გალესილ და გაპრიალებულ თავის ცულს პატარა ტყავის პარკი მოხსნა პირზედ, იღლიაში ამოიდო და წინ წადგა შეშის ურმებთან; გულ-ხელი დაიკრიფა. სიცივის მოწყალებით და ერთ დილმურ ნედლ და გაზრულათ (*) დადებულს ურემს ამოეტუზა გვერდში, რადგანაც უფრო ადვილი და საჩქაროდ დასაჭრელი იყო.

იქნებოდა ათი საათი დილისა, როდესაც ეს ურმები გაიყიდა; ერთ ვილაც უფროსმა იყიდა. ეს შეშა გასაღდა ბედკრულაძის ჩარჩობითა და დალალობითა: გლახა თითქმის ყველა გამვლელ-გამომვლელს ეპატიჟებოდა ამ შეშის სასყიდლათ, ყველას უყვიროდა: баринъ, баринъ, ей Богъ, здѣсь хорошій, сухой дрова, баринъ.... და სულ ამას იძახდა. ბოლოს მართლა გაასაღა და მაშინვე მეურმეს თვალი უყო: აბა პირობაზედ როგორა ხარო, მე გაგისაღე ახლა შენც სამუშაო მიშოვნეო. — ახლა ურმის პატრონმა გაურიგა გლახას საქმე. უფროსი შეშის-მჭრელს ბედკრულაძეს მოუბრუნდა და უთხრა: эй, кацо, хочешь драва рубить? иди...

ჩვენი გლახაც გაჰყვა შორი ახლოს შეშის ურემს ნელ-ნელა ისევ გულ-ხელ-დაკრეფილი იღლიაში ცულით.

თავის ქუჩის კარებამდისინ კი უფროსმა ხმა არ გასცა, განგებ, და იქ უფროსულად, ე. ი. შეტევით ხმა-მაღლივ უთხრა: эй, бичо, а ты куда? ვითომ ვერცკი იცნობს...

— Драва рубить не нада? წაილუღლუღა შეშინებულმა გლახამ, თან ცული აჩვენა და ხელებიც ჩამოუშო.

— არა არ მინდა, წადი, დაიკარგე, — მაგრამ მოიცა, კარგი, რამდენს აიღებ? ჰკითხა უფროსმა..

— ორი აბაზი, ბარინ, უთხრა ბედკრულაძემ...

ამ სიტყვებზედ უფროსი მიბრუნდა თავის სახლის ყმაწვილებისა და ქალებისკენ და უთხრა გლახაზედ: Эка безсовѣстный! მერე ბედკრულაძეს მიუბრუნდა და უთხრა: გინდა სამი შაური მოგცე? არ გინდა და წადი ჯანაბაში!!.. — ეს, რასაკვირველია, კარგათ იცოდა ჩვენმა პატივ-ცემულმა უფროსმა, რომ შეშის მჭრელი, ერთი ვერსი გზის გამოვლილი, ხელ-ცარიელი აღარ წავა შუადღის დროს უკან და ამიტომაც არ გაურიგდა ადგილობრივ, შეშის მეიდანზედ. გლახასაც რა ექნა, მეტი ღონე აღარ იყო; — ცხადათ იგრძნო, რომ შესცდა და იქვე არ გაურიგდა, მაგრამ ეხლა რაღას უშველიდა, არა გაეწყობოდარა და იმიტომაც თანახმა გახდა.

— აბაზი მიბოძე, ბარინ, ძლივს გაუბედა კიდევ ხმის კაკანით გლახამ.

გეუბნები მეტს არ მოგცემ, გინდა სამი შაური წაიღე, არა და საცა გინდა წაეთრიე, — შეუტია უფროსმა.

— რა ექნა, აქაც მოსტყუვდა ჩვენი ბედკრულაძე. ეს მეორე უბედურება და უსამართლოება დილას აქეთ ეწია... ამ დროს შეშის ურმებიც დაცალეს. — გლახამ შემოიკალთავა, ქუდი მოიხადა, თავი ხელსახოცით წაიკრა და მოემზადა დასაჭრელათ. სჭრიდა დიდის წვითა და დაგვითა, ლამე ნატეხ კაცს ამხნისას მკლავი აღარ მისდევს ადრინდელივით, ცულიც აღარ ემორჩილება. გაათავა როგორც იყო შეშის ჭრაცა შუა დღის უკან. შეშის ჭრის დროს ხენეშით ხან წელში გასწორდებოდა ხოლმე, ხან იზმორებოდა, ამთქნარებდა და ტანში იმტვრეოდა. უძილობისაგან შეწუხებული იყო; მეტადრე უფრო ზამთარში ცისქვეშ გდებამ მოულო ამ კაცს ბოლო. ახლა ფულის თხოვნა დაუწყო უფროსსა გასამრჯელო რაც შეურიგდა... უფროსმა ძალიან შეტუქსა, უნამუსოდ გახადა, რატომ დაჭრილი შეშა არ აგიზიდნია სახლის ბანზედ ყავრულის ქვეშაო და უსვინიდისოდ ფულს კი თხოულობო... ბევრი ელიჯინა, როგორც შეეძლო გლახას, რუსულათ, რომ არც გაგრიგებივარ მაგ პირობაზეო და არც წელი და არც მუხლები მომდევსო, ამ სიმძიმე შეშა იმ სიმაღლე ქანდარაზედ ავზიდოვო, გადმოვვარდები და ჩინჩხვრისავით დავიმტვრევიო...... ეცადა კიდეც ატანას, თვითონ უფროსი იყო ამის მოწამე და დამსწრე, მაგრამ ორი ფეხი რომ შედგა ყავრულის, მართლა, საზარელ საქანელასავით კიბეზედ, ჩვენ მოხუცს თვალები აუჭრელდა, იქვე ჩაჯდა და შეშაც იქვე

(*) სოფელში ტყიდგან რომ შეშას ჩამოიტანენ ურმით, იმდენს დააყრიან, რამდენსაც ხარ-კამეჩი ზიდავს: საქალაქოთ გასასყიდათ რომ უდებენ ურემზედ, მაშინ უნდა გაჩვენათ, როგორ აწვალებენ იმ შეშებს: ააკოკოლავებენ შეშას შეშაზედ ცდილობენ შეშებ შუა დოლაბები არ დარჩეს და ბევრ ამისთანას სჩადიან; — ამ გვარ დადებულს შეშას ჰქვიან საბაზრო ურემი.

2) ოსებში, როცა ვინმე მოკვდება, ნათესავები იმავე დღეს გარდაცვალებულის სახლში მივლენ, გაჰყიდიან და ან დააგირავებენ ქონებას მემკვიდრეების დაუკითხავად, იყიდიან ხოლმე ამ ფულებიდგან 10-დამ 20 კოკამდე პურს, გამოხდიან ლუდსა და პურის და ქერის არაყს ასე, რომ ამაზედ 30 კოდამდე მიდის. დაკლავენ ხარებს, ძროხებს და ცხვრებს 10 დამ 35-მდე. ამისთანა საქმე ნათესავების თანაზიარობით მოხდეაა ხოლმე, შეიჭმევა და დაილევა სტუმრებთან. გარდა ამისა ერთის წლის შემდეგ გარდაცვალებულის ალაპს მოახდენენ. ამას ოსურად ხ ა რ ნ ა გ ა ჰქვიან. მაშინ გამოხდიან ლუდსა, რომელსაც 60 კოდამდე მოანდომებენ და 40 პირუტყვამდე დაჰკლენ ხოლმე. ამ დროსვე გამართვენ დოღსა და რომელი ცხენიც გაასწრებს, იმას 40 ძროხამდე აჩუქებენ. საზოგადოებამ გადააგდო ეს ჩვეულება და დააწესა: მკვდარი უნდა დაიმარხოს მართლ-მადიდებელის სარწმუნოების წესისამებრ. ნათესავებს არ შეუძლიანთ მემკვიდრეების დაუკითხავად მკვდრის სახლში რამეგან კარგულება მოახდინონ, წირვა და ლოცვა მკვდრის ულისსთვის მართლ-მადიდ ებელის საეკკლესიო წესისამებრ უნდა აღასრულონ ხოლმე; დოღი ანუ ჯირითი აღარ უნდა იყოს და აგრეთვე იმდენი ხარჯიც აღარ უნდა იქნეს ალაპზედ, რამდენიც აქამომდე იყო ხოლმე.

გასვენებულის სახლობას შეუძლიან სთხოვოს მღვდელს, რომ იმან სწიროს და თვითონ კი გლახებს დაურიგოს მოწყალება; წირვის დროს სურვილისა და შეძლებისა მებრ ყველას ნება აქვს დაკლას ერთი ან ორი ცხვარი, და არა მეტი. ვინც ამ დადებულებას არ აასრულებს, ახალ წესდების ძალით, სოფლის მსაჯულები ჯარიმას გადაახდევინებენ სოფლის საზოგადოების სასარგებლოთ.

3) ძველიდამვე იყო ოსებში კაცის კვლა, სარწმუნოების გმობა, ცარცვა და სხვა. ვისაც კი შეამჩნევენ ამ გვარ ბოროტ-მოქმედებას, ან ქურდობას, რომელიც თუნდ მცირედი იყოს, მაგრამ ქურდობის დროს კი გაეტეხოს რამე, ან ვისაც დაიჭერენ უბრალო ქურდობაში მესამეთ, იმას სოფლის სამმართველო შეიპყრობს და წარუდგენს უეზდის ნაჩალნიკს გადასახდელათ. ამას გარდა, ვინც კი შენიშნული იქნება იმათში გასაკიცხავს მოქმედებაში, სოფლის საზოგადოების გადაწყვეტით, ისინი უნდა წარუდგინონ უეზდის ნაჩალნიკს როგორც ეს ახალის წესდებით განმარტებულია. სოფლის მსაჯულების მოვალეობა არის მცირედის ქურდობისათვის დააკმაყოფილონ გაქურდულნი ქურდის ხარჯითა, და აგრეთვე გადაახდევინოს სოფლის სასარგებლოთ ჯარიმა იმავე წესით, როგორიც ახალი წესდებით არის დადებული.

4) ზოგიერთი ოსი არ ეზიარება ხოლმე, მარხვას არ დასდევს, მარხვაში ალაპს გადიხდიან ხოლმე და ქორწილსა, აგრეთვე ლისკანობას, ესე იგი დიდმარხვის მეორე კვირაში პარასკევსა და შაბათს გაიხსნილებენ. საზოგადოება მოსპობს ყველა ამისთანა ჩვეულებებს და დააწესებს: ყველა უნდა მოიქცეს მართლ-მადიდებლის ქრისტეს ეკკლესიისაგან დადებულის წესისა მებრ; დამნაშავე მღვდლის განაჩენისა მებრ უნდა დაისაჯოს და ვინც ამაზედ წინააღმდეგობას აღმოაჩენს, იმას სოფლის მსაჯულებმა ჯარიმა უნდა გადაახდევინონ, სოფლის სასარგებლოდ, იმ წესით, როგორიც ახალის წესდებით არის დადებული.

5) ოსებს აქვთ ჩვეულებათ, რომ, თუ ქალს შვილი არ ეყოლა, შეუძლიან ქმარმა ის გაუშვას და შეირთოს ცოლად თავის ძმის ქვრივი. საზოგადოება მოსპობს ამ ჩვეულებას და დააწესებს: ზემოთ ნაჩვენების მიზეზის გამო არავინ არ უნდა გაბედოს ჯვარდაწერილის ცოლის გაშვება. ვისაც ჯვარდაუწერელი ცოლი ჰყავს, იმან უნდა ჯვარი დაიწეროს მართლ-მადიდებლის ეკკლესიის წესისა მებრ და ვინც თავის ჯვარ-დაწერილის ცოლის სიცოცხლეში ცხოვრებს სხვა ქალთან, როგორც ცოლთან, ის ვალდებულია, როგორც სხვა ქალი, აგრეთვე თავის ძმის ცოლიც სახლიდამ გაისტუმროს. ვინც ამ განაჩენს დაარღვევს, იმაზედ სოფლის საზოგადოებამ უნდა აცნობოს ადგილობრივს მთავრობას, რომ იმან სჯულისამებრ გადაახდევინოს.

6) ოსებს ჩვეულებათ აქვთ, რომ ხალხი არც ორშაბათს, არც პარასკევს და არც შაბათს შუადღემდის არ მუშაობს, უქმს დღეს და კვირაძალს კი ხშირად არ შეინახავს ხოლმე. საზოგადოება ამ ჩვეულებას გადააგდებს და დააწესებს: ხალხი ვალდებულია უქმი დღე და კვირა შეინახოს. ვინც კი დაარღვევს ამ განაჩენს სოფლის საზოგადოება გადაახდევინებს ჯარიმას, სოფლის სასარგებლოდ, იმ წესით, როგორიც ახალის წეს-დებით დადებულია.

7) ბევრი ოსი მიუწვევლად მიდის სხვის სახლში ალაპზედ, ქორწილზედ და სხვა ამისთანა შემთხვევის დროს. საზოგადოება მოსპობს ამ ჩვეულებას და დააწესებს: ვინც მივა სხვის სახლში ქორწილის დროს, ალაპზედ და სხვა ამისთანა შემთხვევის დროს და ვინც არ წავა იმ სახლიდგან სახლის პატრონისა, ან მამასახლისის დათხოვნით, იმას სოფლის სამსჯავრო გადაახდევინებს ჯარიმას იმ წესით, როგორიც დაწესებულია ახალის წეს-დებისა მებრ.

8) ვინც ჩხუბს ასტეხს ან ვინც მაჩხუბრებს შეიხმარება აგრეთვე ჯეროვანს პატივს არა სცემს სამღვდელოებას, იმას სოფლის სამსჯავრო ჯარიმას გადაახდევინებს სოფლის სასარგებლოთ, იმ წესით, როგორიც ახალის წესდებით დადებულია.

9) მოხდება ხოლმე, რომ ქალები არ აძლევენ ნებას თავის ქრმებს, რომ იჩივლონ სადმე, თვითონ კი ხშირად მოჩივრებად ხდებიან; ამ გვარის ქალის ქმარი ვალდებულია, რომ აღუკრძალოს თავის ცოლს ამისთანა შეუფერებელი ყოფა-ქცევა; მაგრამ, თუ ქალი იმის სიტყვას არ შეისმენს, მაშინ სოფლის სამსჯავრომ ამ ქალს ჯარიმა უნდა გადაახდევინოს იმ წესით, როგორიც ახალის წეს-დებისა მებრ დადებულია.

დიდისა და პატარა-ლიახვის პირად სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც არ აასრულებენ აწინდელს განჩინებას და დაარღვევენ იმას, ისინი ადგილობრივს პოლიციის მთავრობას უნდა წარუდგინოს სოფლის სამმართველომ და სთხოვოს, რომ იმან გადახდევინოს დამნაშავეთ, როგორც საზოგადო გადაწყვეტილების წინააღმდეგთ. შემდეგ ამისა მამასახლისებმა და სოფლის მსაჯულებმა დასწერეს ზემოთ-მოყვანილი იმათი გადაწყვეტილება ორს ეკზემპლიარზედ: ერთი ორტევის ბლაღოჩინს, მღვდელს სოლომონ ქანდელაკისშვილს მისცეს და მეორე წარუდგინეს საგლეხო საქმების სასამართლოს წევრს, სტატსკი სოვეტნიკს მამაცაშვილს და გორის უზდის ნაჩალნიკს, პოდპოლკოვნიკს, თავადს ერისთავს, რომ იმათ მთავრობას აცნობონ; ამ გადაწყვეტილების პირები კი ყველა სოფლის სასამართლოებს დაურიგეს რომ ხელსამძღვანელოთ იქონიონ.

### ანგარიშის წარდგენა ლოჭინის ხუტორის მმართველისა სამეურნეო საზოგადოებისადმი.

გადმოვწერთ რამოდენსამე ალაგს ანგარიშიდამ, რომელიც საპრაკტიკო (სავარჯისო) ხუტორის მმართველს წარუდგენია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის.

ახლანდელი ჩემგან წარმოდგენილი ანგარიში არის პირველი, მას უკან რაც კავკაზიის სამეურნეო საზოგადოებამ მომანდო მე გაშენება და მართვა საპრაკტიკო ხუტორისა.

ვიდრე თვით ანგარიშს წარმოვადგენდე, ნებას მივსცემ ჩემს თავს მოკლეთ განვიხილო ის მოვალეობანი, რომლებითაც ჩემის მხრით შევეკარი საზოგადოებას.

ეს მოვალეობანი მდგომარეობენ შემდეგში:

1) უნდა მესწავლებინა ადგილის ყმაწვილკაცებისთვის პრაკტიკული მუშაობა.

2) უნდა გამეშენებინა ტყე იმ ცარიელს ადგილზედ, რომელიც აკრავს ხუტორსა.

3) უნდა გამეწყო სანერგავი ვენახისა, ხეხილისა, ტყისა და სხვა საორნამეტო (სამკობი) ხეების გვარისა და გამეშენებინა სახეხილო ბაღი.

4) უნდა წარმედგინა ხოლმე საზოგადოებისთვის დაწესებულ ზომაზედ ვენახის ვაზი, ხეხილის და ტყის ხეები დანიშნულს ფასათ, გასასყიდათ, თუ უფულოდ დასარიგებლად, როგორც საზოგადოება დაინახავდა.

5) უნდა შემემუშავებინა და ყური მეგდო საცადის ყანისთვის.

ახლა რომ შევუდგე ზემოთ მოხსენებულის ხუთის პირობის განხილვას, მე თავდა-პირველად უნდა მოვახსენო საზოგადოებას, რომ, თუმცა ყველას ადვილი გვგონა მოსწავლე-მუშების შოვნა ლოჭინის ხუტორისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ეს საყოველთაო იმედი არ გამართლდა. მე მხოლოდ დიდის მეცადინეობით შევკრიბე 13 მოწაფე; მაგრამ ამათგან შემდგომ 7 კაცი ისევ დავითხოვე, რადგანაც ისინი უნიჭონი იყვნენ.

ლოჭინის ხუტორში ყმაწვილი კაცები მიიღებიან შემდეგის პირობებით; პირველ წელიწ დს მუშა-მოწაფეს ეძლევა სარჩო და 70 მანეთი ჯამაგირი; შემდეგ ყოველს მომავალს წელიწადს მოემატება ჯამაგირი ათ-ათი მანეთი, ასე რომ მეოთხე წელიწადს იმას ერგება 100 მანეთი.

როცა მოწაფე ხუტორში დაჰყოფს ორს წელიწადს, მაშინ ის ორის თვით დაითხოვება თავის სამშობლოში, ჯამაგირის გამოურიცხველად. ამის გარდა თვითოეულს მოწაფეს ეძლევა სრული ტანთ-საცმელი, რომელიც ყველასთვის ერთნაირია.

ხუტორის მოწაფეებს სამეურნეო მუშაობის გარდა წერა-კითხვას და ანგარიშსაც ასწავლიან.

ეს პირობები მოწაფეების შესახებ ჩემთვის დიდათ საძნელოა, რადგანაც მე უნდა ვაძლიო იმათ, ვინც მუშაობა სრულებით არ იციან, იმოდენა ფასი, რამოდენიც ეძლევა დახელოვნებულს მუშას; მაგრამ ამ პირობებითაც მე ძნელად ვპოულობ მოწაფეებს. ამ საქმის წასამართავათ უნდა ცდილობდნენ თვით მემამულენი, რადგანაც დახელოვნებული და მცოდნე მუშა-კაცები იმათთვის დიდათ საჭირო-

---

დაყარა... მაგრამ მაინც არავინ შეიბრალა. უფროსი უფრო და უფრო უმატებდა ჯავრობას, თავზედ ცეცხლს აყრიდა ბლახას, იმიტომ უფრო, რომ მოუგონა: გრძელ-გრძელათ დაგიჭრია შეშაო და ძალიანც დაგინაფოტებიაო.. რა ექნა საწყალ და მართლა ბედკრულ-ბედკრულაძეს! ეს პირველი შარი არ იყო იმის სიცოცხლეში... პატარა ხანს მოწყენილის სახით ჩამოჯდა იქა, მერე მოსამსახურე ბიჭებს ეხვეწა, იმ ეზოში ვინც იყვნენ, თავის გასამრჯელო-სამშაურს აძლევდა, ოღონდ მაღლა შეშა აიტანეთო,—მაგრამ იმათ ყურიც არ უგდეს ბერიკაცის ხვეწნას. მერე უფროსს სთხოვა ცოტახან წავალ და ვიშოვნი შეშის ამზიდველ კაცსაო, მაგრამ იმან შორს მოიკიდა ეს თხოვნა, გაიპარებიო, უთხრა ბლახას. რჯულ-ღმერთს ეფიცებოდა ბერიკაცი არ მოგატყუებო.. ბოლოს ენდო, მხოლოდ მაშინ, როდესაც ცული გირაოდ დაურჩინა. წამოვიდა საწყალი, გულ-ჩათხრობილი, თავის თავის მაწყევარი... მივიდა იქვე ახლო-მახლოს ქოხისავით ერთ წამოფარებულ ფანჩატურიდგან გამოუძახა თავის ხელობის (ასასს-შეშის მჭრელს) თავისთანვე მოტეხილს, მაგრამ ჯერ ისევ ქარმაკს კაცს „ტ ე ტ ი ა ს" (ამხანაგის სახელი იყო) და შესტირა ცხარის ცრემლით, გულჩვილმა ბლახამ დღევანდელი თავისი გარდასავალი, ბოლოს ძმურათა სთხოვა, რომ შეეწიო'ა შეშის აზიდვას ყავრულში და იმისი გასამრჯელო სამი შაურიც ტეტიამ აიღოს...

ტეტიას ჭეშმარიტათ შეებრალა და შეეწყალა თავისავით დაჩაგრული ძმა-კაცი და არცკი შეიფერხა მაშინვე გეეშურა საშველად.

ერთი საათის უკან შეშა სულ აზიდული იყო ბანზედ. სამი შაურიც ტეტიას ერგო; თუმცა ტეტია დიდ უარზედ იდგა, მაგრამ ბლახამ შემოწყრომა და უმძრახობა დაუქადა, თუ ფულს არ აიღებდა.

იმ დროს, როგორც ძლივს-წვალებით დაახწია ცარიელი თავი და გამოდის ალაყაფის კარებში,—შემოასწრო უფროსმა თვალი, რომ მხარზედ რაღაც შეშის ნაჭერი უდევს ბლახას,—ერთ წამს გამოვარდა სახლიდგან ფოცხვერისავით, ეცა ბედკრულაძეს და გამოჰგლიჯა ხელიდგან შეშა, ცულიც წაართო, დაუწყო ცემა-ტყეპა, ვაი-ვაგლახი,—წაჰკრა კისერში, წააგდო ალაგზედ და დაუწყო ცემა ამ საწყალ ღვთისნიერ კაცს, თან ილანძღებოდა იმ გვარის სიტყვებით, რომ გარდაცემა ძნელია.... ყვირის, ღრიალებს საცოდავი ბედკრულაძე, რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ ვინ არის ამ კაცის შემბრალებელი!

კარგა ხანს უკან გული რომ ისრულა, ჯავრი ამოიყარა,—ცოლმა ძლივ მოაშორა ქმარი ამ უძლურ-ნაცემ-ნატყეპ უდანაშაულო ბედკრულაძეს. ბლახამ, როგორც იყო, გააგონა უფროსის ცოლს ქართულად კვნესით და ოხვრით, რომ სულ ყველა შეშის მჭრელებს ასე გვაქვს ჩვეულება და ადათიო, როდესაც ვნახამთ მოკლე, სწორე ხესაო—ცულის ტარათ წავიღებთ ხოლმე, არავინ დაგვიშლისო: აგერ ათი წელიწადია ამ საქმეში ვარ, ასე ვჩავდივარ, ხმა არავის გაუცია ამაზედ და რა ეშმაკი მამაგონებდა, თუ აქ ამ ერთი შეშისთვის ასე უწყალოთ დამსჯიდნენ ამ დროულ-კაცსა; რავიცოდი თუ ასე ძვალსა და რბილს გამისწორებდნენ. თქვე კურთხეულის შვილო რომ გარჯილაყავით და გებრძანებინათ სიტყვით შეშის დარჩენა, როგორღა შემეძლო გამებედნა წაღება....

წამოდგა ამ სიტყვებზედ, კვნესით, წუწუნით; თითქმის ყველა ასო სტკიოდა საბრალო ბედკრულაძეს, თითქმის სულ ყველა ასო სტკიოდა ტანში, ხან სად დაიდებდა ხელს და ხან სადა.... ბოლოს ცულის თხოვნა დაუწყო: ღმერთი გადღეგრძელებთ, სულ ნუ დამღუპავთ, ემუდარებოდა ბლახა ყელ-გადაგდებული და ქუდ მოხდილი... ჯერ არ აძლევდა უფროსი და მერე ისიც გამოურთო ცოლმა ხვეწნით და მუდარებით, გამოვიდა ეზოდგან ხელ-ცარიელი დამტვრეულ-დაჩეჩქვილი ბლახა. ღრმათ და შავად ჩარჩა გულში უკანასკნელად გამოსვლის დროს უფროსის თითის ქნევა და ლანძღვა.... ბლახა დაეშო აქედან თავდაღმართზედ და გასწია პირდაპირ თათრის მეიდნისაკენ პურის საყიდლათ,—მაგრამ, მკითხველო, დავიჯეროთ, ჩემი კალმისაგან მოითხოვ, რომ წარმოგიდგინოს ისა, რასაც ჩვენი ბედკრულაძე იმ დროს გრძნობდა და რაზედაც ფიქრობდა? ბევრი უმრავლესი სხვა და სხვა აზრები უფუთფუთებდნენ და ეშლებოდნენ იმას თავში: ღმერთზედ, კაცზედ, სიცოცხლეზედ, თავის თავზედ. ამას ენა ვერ გამოსთქვამს და უფრო ცოდვაა უნდილის კალმით შეეხოს კაცი. მართლა რომ იმ დროს „იმის დუმილში იყო რაღაც ღვთის რისხვის ზარი". მზეც კარგად გადაიწვერა. მანამ ჩვენი ბლახა ბედკრულაძე ორ ფუთ ნახევარ ფქვილს იყიდის პურის მეიდანზედ და თავის სახლში მიიტანს—ჩვენ გავიგოთ ბლახას ვინაობა და წარმოვიდგინოთ იმის ოჯახობის მდგომარეობა.

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი და სასარგებლონი არიან; იმათ უნდა ურჩიონ ახალგაზდა გლეხებს, რომ ისინი ამ ხუტორში შემოვიდნენ. ეს საქმე მემამულეებისთვის საძნელო არ არის, რადგანაც იმათ ჯერ კიდევ შეუძლიანთ ჰქონდეთ ზნეობითი მოქმედება გლეხებზედ.

ამასთან მე ვურჩევ საზოგადოებას—გამოაგზავნინოს სასწავლებლათ ხუტორში ობოლი ყმაწვილები, რომელნიც ძალიან ხშირად სრულებით უყურადღებოთ იზრდებიან და ამისგამო შემდგომისათვის ზნეობით ხდებიან ხოლმე. ეს ჩემი წინადადება რომ საზოგადოებამ თავზედ იკისროს, ის იქმს კეთილს ქრისტიანულს საქმეს. ბარონის ალექსანდრე პავლეს ძის ნიკოლაის მადლობით ახლა ხუტორში ექვსი ამისთანა ყმაწვილი არის და ამ გვარათ ჩემი მოწაფეების რიცხვი თორმეტამდის ავიდა.

რამდენიც შესაძლოა ჩემის მხრით კი ყოველს ღონისძიებას ვხმარობ, რომ ხუტორის მოწაფეებში გავაღვიძო მეცადინეობა, შეჯიბრება მუშაობაში და თავის მოყვარეობა.

## პოლიტიკა.

**ავსტრიის** კელნის გაზეთში (ნემეცური გაზეთია) არის დაბეჭდილი ავსტრიის კორრესპონდენცია (წერილით ამბის გადაცემა). ეს კორრესპონდენცია 22 მაისიდამ ამ რიგათ იწერება:

ფელდცეიხმეისტერი ბენედეკი დაიბადა ვენგრიის ქალაქში ედენბურგში და არის დაბადებით ვენგრიელი, თუმცა კი შთამომავლობით სლოვაკის ხალხობას ეკუთვნის. იმპერატორის არმიაში იმას ისე იცნობენ, როგორც მხნეს და სასტიკს კაცსა. ის მამობრიულად ზრუნავს თავის სალდათებისთვის და ამის გამო იმათაც უყვართ. აფიცრებსაც ძლიერ უყვართ, რადგანაც ის სამსახურს გარეშე უბრალოდ და შინაურულად იქცევა იმათთან. არისტოკრატია (მაღალი-წოდება) ბენედეკს მეტიჩარას ეძახის.

1859 წელს მხოლოდ მარტო ღენერალი ბენედ კი სრულად არ დამარცხებულა, მაშინ როდესაც სხვ გამოჩენილნი ღენერლები გიულაი, გრაფი კლამ-გალასი და სხვანი იმათ გვარნი ნიადაგ სცდებოდნენ ხოლმე.

როდესაც იმპერატორმა ღენერალ ბენედეკს ურჩია, რომ მიეღო თავის თავზედ არმიის მხედართ-მთავრობა, როგორც აფიცრები ამბობენ, ის დასთანახმდა ამაზედ შემდეგის პირობებით: 1) რომ ჩრდილოეთის არმიას 300 ათასი კაცი მაინც ყოველთვის ყვანდეს, თუ ვინიცობაა თავს დაცემა შეგვემთხვაო; 2) რომ არმიაში არც ერთი ერც-ღერცოგი არ იყოს, და 3) რომ თვით იმას ქონდეს ნება, რომ თავის უმთავრესს შტაბში მოსამსახურე პირები დანიშნოს.

—ავსტრიის სამხედრო გაზეთის სიტყვით, ავსტრიას შეუძლიან საომრად გამოიყვანოს 600 ათასი კაცი; 350 ათასი კაცი პრუსიაზედ განელაშქრება და 250 ათასი იტალიაზედ.

**დანია.** ერთი კოპენგაგენის (დანიის დედაქალაქია) გაზეთი დაგვარწმუნებს, ვითომც იმპერატორს ნაპოლეონს დანიის პრინცისთვის მიეცეს წინადადება, რომ იმან ჯვარი დაიწეროს შვეციის პრინცესსაზედ, ლუიზაზედ. ეს ქორწინება, ნაპოლეონის აზრით, დაამყარებს მთელის სკანდინავიის ერთობას და ამით შეეძლება იმას, რომ წინაღუდგეს გერმანიის სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ იმისი დამორჩილება.

**იტალია.** როგორც იწერებიან, 25 მაისიდამ, ვოლონტერების შეკრება იტალიაში ორს დღეს შეაჩერეს. ამ ცოტას ხანში ვოლონტერებად მსურველნი ისე გამრავლდნენ, რომ შეამტვრიეს ზალის კარები, სადაც იმყოფებოდა კამმისია, რომელიც ვოლონტერებსა სწერდა. ერთი კამმისიის მაგივრად ახლა ოთხი დაწესდება. იმათი ყრილობა დანიშნულია 26 მაისს დილით. დღევანდელის დღის განმავლობაში მოვიდა კადრაში ოთხი ათასი ვოლონტერი. მთლად შეკრბა თექვსმეტი ათასი ვოლონტერი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. „ძნელი წარმოსადგენია, იწერება ერთი ფლორენციაში მყოფი კორრესპონდენტი, რა ნაირს გამოუხატველს აღტაცებას მიეცემა თავისუფლებისთვის მთელი ხალხი საერთოთ, ამ უკანასკნელის ომიანობის გამო. საკმაო იქნება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი (შემთხვევა). პრეფექტმა პეზარომ დაანება თავის ცოლშვილს თავი და შევიდა ჯარში, რომელსაც გარიბალდიმ უნდა უწინამძღომლოს. ეს პრეფექტი 1860 წლის ლაშქრობაშიაც იყო და ერთს ბატალიონს წინამძღომელობდა. ერთი აფიცერი, რომელიც არის კაროლის ორდინარეცი (ბძანების წამღები), კერძოობითს წიგნში იწერება, რომ ვიქტორ-ემმანუილი 31 მაისს შტაბ-კვარტირაში მიდის, სადაც გარიბალდის დიდის ამბით უნდა მიეგებნენ. როგორც პარიჟიდამ იწერებიან, გარიბალდი გამოვიდა 21 მაისს კაპრერის კუნძულიდამ და ბარში ამზადებს ვოლონტერებს. მენნოტტი (შვილი გარიბალდისა) დაბრუნდა ფლორენციაში და უნდოდა იმავე დღეს კუნძულს კაპრერას წასულ იყო. მენოტი გარიბალდის მოსვლას ფლორენციაში ერთი იტალიის გაზეთი, Italia აცხადებს. ალმოსავლეთიდგანაც კი მოდიან ვოლონტერები. საფოჩტო ცეცხლის გემზედ ამ უკანასკნელს დროს ალექსანდრიიდამ (ქვემო ეგვიპტის დედა ქალაქია) 200 იტალიელი-ვოლონტერი გამოვიდა ბრინდიზაში. ბოლონიაში ვოლონტერებათ 1500 კაცი ჩაიწერა. 24 მაისს ისინი გაგზავნეს რაზმებათ ბარში და ბარლეტში. თვითო რაზმში ასი კაცია. ფერრარის მცხოვრებლებზედ დიდი შთაბეჭდილება (впечатлѣніе) ჰქონდა იმ საქმეს, როდესაც გრაფინა მანიოი სამს თავის შვილს გზავნიდა გარიბალდის ჯარში. საზოგადოთ იტალიის ქალები დიდს გულ-მხურვალებას და სურვილს აღმოიჩენენ სამსხვერპლოდ. სადაც კი ვოლონტერის მუნდირებში გამოჩნდებიან ხოლმე აფიცრები, იმათ ყველგან აღტაცებით მიეგებებიან და სიყვარულს გამოუცხადებენ. იტალიაში მოძრაობა თანდა თან ძლიერდება.

—ფლორენციის სახელოსნო საზოგადოებამ დააწესა, რომ მისცენ შემდეგნი ფულის ჯილდონი ამ საზოგადოების წევრთა, რომელნიც მიიღებენ ომში მონაწილეობას და რომელნიც ბრძოლაში გაიმარჯვებენ: 500 ფრანკი (ოთხი ფრანკი ერთი მანეთია) იმას, ვინც პირველად ამართავს დროშას მტრის ბასტიონზედ (*); 200 ფრანკი იმას, რომელიც მტერს დროშას წაართმევს; 50 ფრანკი იმათ, რომელნიც შეიქმნებიან ღირსნი მედლისა მხნეობისათვის, და 30 ფრანკი იმათ, რომელნიც მთავრობისგან ქებას დაიმსახურებენ. რომელნიც დაიჭრებიან და დაშავდებიან, იმათ საზოგადოების კასსიდამ დღეში თვითო ფრანკი უნდა ეძლიოთ. როცა ომი გათავდება საზოგადოების წევრებს, რომელნიც ვოლონტერებად და მხედრობაში მსახურებდნენ, ჯილდოებს—დაურიგებენ.

—რომიდამ სწერენ 26 მაისს: პაპამ ხელმეორედ ნახა პოლშის კოლლეგია (რჩევა) და ურჩევდა პოლშელებს, რომ ისინი იყვნენ მტკიცედ სარწმუნოებაზედ და ეცადნონ, რომ გასწორონ თავიანთი შეცდომანი, რომელნიც შეიქმნენ პოლშის დაცემის მიზეზნი.

—როგორც იტალიიდამ ტელეგრამმა აცხადებს, ღენერალმა გარიბალდიმ კაპრერა დასტოვა და წავიდა ადრიატიკის ზღვის ნაპირებისკენ. უცხო ქვეყნის გაზეთების სიტყვით ეს ამბავი არ არის დამამშვიდებელი.

**ოსმალო.**—ოსმალეთიდამ ისმის ხმა, ვითომც ოსმალების ხომალდები კრეისერობენ (მეკობრობენ) კატტაროსთან. ჩერნომორიის სენატორი პარკოვიჩი ახლა იმყოფება ფლორენციაში, სადაც გაგზავნილია დიპლომატიურის მინდობილების აღსასრულებლად. უცხო ქვეყნის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ამ კაცის ყოფნა ფლორენციაში უთუოდ უნდა მოასწავებდეს რასმესო, და ამბობენ, ვითომც ჩერნოგორიას სურდეს, რომ იტალიასთან ერთად იმოქმედოს.

(*) ბასტიონი—კოშკი, რომელიც ქალაქის ან ციხის კედელზედ არის მიშენებული, კედლის ძირის დასაცველად.

ტელეგრამმით გვაცნობებენ, რომ ოსმალეთის ჯარი შევიდა სარაევოში, ბოსნიის გარნიზონების გასამაგრებლად.

**დუნაის სამთავროები.** პრინცის ჰოჰენცოლერნის ბუხარესტში შესვლაზედ ტელეგრამმით ამ ქალაქიდამ გვაცნობებენ, რომ, 21 მაისს 4 საათს ნაშუადღევისას, როცა პრინცი ქალაქში შევიდა, იმას ზარების ცემით მიეგებნენ და მთავრობამ პურ-მარილი მიართვა. პრინცი კარეტით წავიდა პალატაში და სობოროში. საღამოს ქალაქი ჩირაღდნით გაანათლეს.

კრებამ ერთსულობით ჩამოატარა კენჭი, რომ პრინცის ჰოჰენცოლერნის მამა ბუნებურად ესე იგი ადგილის მცხოვრებლათ შერაცხუ ყოფილიყო და ამითი აღესრულებინათ პირობანი, რომელნიც კონვენციის მე-13 მუხლში არიან მოხსენებულნი.

როგორც კი ჰოჰენცოლერნის პრინცი პალატაში შევიდა, იმან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა.

„ხალხის თავისუფალის ნებით რუმინიის მთავრად აღმორჩეულმან მე დაუღონებლივ განუტევე ჩემი სამშობლო და სახლობა. ამიერიდგან მე ვარ რუმინელი. ხალხის განჩინებაზედ დათანახმება დამსდებს მე დიდს მოვალეობას და იმედიც მაქვს ის აღვასრულო; მე თანმომაქვს ერთგული გული, წრფელნი განზრახვანი, გულმაგარი სურვილი, რომ კეთილი ვქმნა, განუსაზღვრელი თავგანწირულება ჩემს ახალის მამულისადმი და დაუღონებლივი პატივის-ცემა სჯულისადმი. მე მზად ვარ, როგორც ბედში, ისე უბედურებაში თანაზიარ ვექმნე სამშობლოს. ჩვენ შორის ყოველივე საერთო უნდა იყოს; გავამაგრდეთ ერთსულობითა და ვეცადნეთ ამ დიდს შემთხვევას გაუთანასწორდეთ. განგება, რომელიც აქამომდე ჰპატრონობდა თავის აღრჩეულს და რომელმაც იმის გზას ააცდინა ყოველნი დაბრკოლებანი, არ დასტოვებს თავის საქმესაც შეუსრულებელს. ღმერთმან გაუმარჯოს რუმინიას“.

რუმინიის პალატამ პრინცს წლის ჯამაგირად ასიათასი დუკატი დაუნიშნა, მაგრამ ის თანახმა გახდა მხოლოდ იმდენზედ, რამდენიც საჭიროა სასახლის შტატის სარჩენათ. ეს ამბავიც ბუხარესტიდამ ტელეგრამმით არის შეტყობილი.

პრინცმა კარლმა შეადგინა თავის სამინისტრო. უ. ლასკარ კატარჯიმ მიიღო თავის თავზედ რჩევაში პრეზიდენტობა (თავს-მჯდომარეობა) და ამასთან შინა საქმის მინისტრობაც. კაბინეტში აგრეთვე იმყოფებიან უუ. როზეტტი და ბრაციანო. როგორც ისმის, პრინცის კარლის მამას პრინცს ანტონს ჰოჰენცოლერნს სურს დასტოვოს დუსელდორფი იმ აზრით, რომ თავის ახალს მემამულეებს შორის დაბინავდეს, შვილის მახლობლად. იმან გაუგზავნა წიგნი პრუსსიის კაროლს, რომელშიაც იმისი შვილი აცხადებს, რომ აფიცრად ყოფნა პრუსსიის არმიაში აღარა სურს.

—19 მაისს რუმინიის დეპუტაციამ, რომელიც პარიჟიდამ წავიდა დუსელდორფში და რომელშიაც ერივნენ თავადი სტირბეი, უუ. ბოერესკო, კოსტაფორო და სტიგი, ბრწყინვალე აუდიენციაზედ წარუდგინა ჰოჰენცოლერნის შთამომავლობის თავს, პრინცს კარლს ანტონს, მთელის იმის სახლობის წინ, პლებისციტი, რომელიც შესდგომია პრინცის კარლის-ლუდვიგის აღმორჩევას შეერთებულის სამთავროების ხელმწიფედ.

აი ტექსტი პლებისციტისა:

„შეერთებულის რუმინიის სამთავროების მთავრად აღმოგვირჩევია პრინცი კარლი-ლუდვიგი-ჰოჰენცოლერნი-ზიღმარინგენი, კარლი I-ის სახელით და ტახტზედ შთამომავლობითი მემკვიდრეობის სიმართლით.

„ჩვენ ქვემორე ხელის-მომწერნი, წევრნი უმაღლესის კამმისიისა, რომელიც არის დანიშნული 1866 წლის 10 მაისის პლებისციტის ხმების დასათვლელად, მოწამენი ვართ, რომ მ. უ. პრინცი კარლი-ლუდვიგი-ჰოჰენცოლერნი-ზიღმარინგენი არის აღმორჩეული შეერთებულის სამთავროების ხელმწიფედ შთამომავლობითი მემკვიდრეობის სიმართლით, 685,969 დამამტკიცებელის ხმითა წინაღმდეგ 224 ხმისა, რომელიცა უარს ჰყოფს“.

დესპანებმა ამ რიგათ გამოაცხადეს მიზანი და საგანი თავის დესპანობისა.

„როგორც ყოველმა ჭაბუკმა ხალხმა, რომელსაც ცხოვრება სწყურიან და გრძნობს თავის ძალას, რუმინიის ხალხმაც აგრეთვე იგრძნო, რომ პირველი პირობა ხალხის არსებობისა იმყოფება იმაში, რომ იმან დაამყაროს მტკიცე უფლების დასაწყისი. სხვა ნაციების (ხალხების) მიხედვით ის თავისთვის ეძებდა ხელმწიფედ იმისთანა საკაროლო ოჯახის შთამომავალს თავის ქვეყნის გარეშე, რომელიც მდიდარია დიდებულის და ისტორიულის მოგონილებითა. თქვენს კაროლებითს უმაღლესობას პრინცს კარლს-ლუდვიგს-ჰოჰენცოლერნისას მიანდობს ის თავის სვესა.

„ჩვენ ბედნიერნი ვართ, პრინცო, მითი რომ შეგვიძლიან ჩავაბაროთ თქვენს კაროლებითს უმაღლესობას ფორმალური აქტი, რომელიც არის რუმინიის ხალხის ერთსულობით დაწესების მოწამე. ამ გვარისვე ერთსულობითა დაამტკიცა იგი აღმორჩევითმა კრებამ.

რუმინიის ხალხი გელით თქვენ მღვიძარის მოუთმინელობითა. ამიერითგან თქვენ ხართ იმისი კანონიერი თავი. თქვენი აღმორჩევა აცხადებს ნებას დამოუკიდებელის ხალხისას, რომელიც მოქმედებდა საუკუნებიდამ მომდინარებულის თავისის სიმართლითა, რომელი არს ცნობილი და პატივცემული ევროპის ტრაქტატებითა.

„წადით, პრინცო, იმ ხალხის მოთავეთ, რომელმაც მოახერხა თავის ხალხობის და თავისუფლების სრულად დაფარვა ამდენს საუკუნოებიდამ მომდინარებულს წვა-და-დაგვაში. წადით ამ ქვეყანაში, თქვენ ნახავთ იქ კვალს თავადთა და გმირთა, რომელნიცა ამიერითგან თქვენს წინაპარებათ იქნებიან და არიან ღირსნი წარჩინებულის თქვენის მამა-პაპისა.

„რუმინიის ხალხს რწამს თავისი მყობადი, ამისთვის რომ იგი თვის შორის გრძნობს სიცოცხლეს და იცის თავისის ძალის სიუხვე.

„თქვენმა უმაღლესობამ უნდა უზრუნველ ჰყოს იმისი მყობადი.

„თქვენი სვე, პრინცო, ამიერითგან შეერთებულია ჩვენის სამშობლოს სვესთან. ჩვენს ლოცვაში ამიერითგან ჩვენს სამშობლოსთან შეერთვის თქვენი სახელიც და შევევედრებით საღმრთო განგებას გარდამოავლინოს კარლ 1-ზედ, ჩვენს დიდ-საყვარელს ხელმწიფეზედ და რუმინიაზედ თავისი კურთხევა.

ხელმოწერილია: თავადი სტირბეი, კოსტაფორო, ბოერესკო, სტიგი.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

პ ა რ ი ჟ ი 17 (29) მაისს. ფრანცუზულს გაზეთში „Pays“ გადმოგვცეს რამოდენიმე ცნობა იმ მიწების მაგიერობაზედ, რომელნიც სახელმწიფოებმა უნდა დაუთმონ ერთმანეთს. ამ ცნობას ახლა აი რას უმატებენ იმავე გაზეთში. ვენეციის მაგიერად აპირებენ ბოსნიის და ღერცოგოვინის ნაწილის მიცემას. ეს ნაწილი ავსტრიამ უნდა მოიპოვოს ოსმალოდგან. ელბის საღერცოგოების ნაწილში ავსტრიამ უნდა მიიღოს მდ. რეინის პირად მდებარე მიწების ნაწილი. ლიმბურგის

მაგიერად გერმანიის კავშირს მიემატება შლეზვიგის სანემეცო ნაწილი. ნიდერლანდი თავის თავზედ კისრულობს იმ ვალდებულებებს, რომელნიც ლიმბურგს ჰქონდა გერმანიის კავშირთან.

ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი-მ ა ი ნ ზ ე დ, 17 (29) მაისს. დღეს გერმანიის კავშირის სეიმის (კრების) ყრილობაში წარადგინეს ანგლიის, ფრანციის და რუსეთის ნოტები, რომელნიც თითქმის ერთის აზრისანი იყვნენ. ამისგამო სეიმმა გადასწყვიტა, რომ ამ ნოტებზედ დაუყოვნებლივ გერმანიის სახელმწიფოებს შეატყობინოს.

ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი-მ ა ი ნ ზ ე დ, 20 (1 ივნისს) მაისს. ერთს გაზეთში სახელად „ევროპა“ პარიჟიდამ 19 მაისიდამ ტელეგრამმა არის დაბეჭდილი, რომელიც აცხადებს, რომ ოსმალო ძრიერ თხოულობს თავის ნოტებში, რომელნიც იმას თავის ელჩების ხელით სხვა სახელმწიფოებისთვის წარუდგენია, რომ დუნაის სამთავროებში თავისი ჯარი შეიყვანოს. როგორც ისმის, სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით ფრანციამ მიუგეს, რომ ამ გვარი მოქმედება ოსმალოსთვისვე შეიქმნება დამღუპველი. იმედი აქვთ, რომ ოსმალოს მმართველობა აღარ შეიყვანს ჯარს დუნაის სამთავროებში.

პ ა რ ი ჟ ი, 20 მაისს (1 ივნისს). უცხო ქვეყნის საქმის მინისტრებმა, ვიცე-კანცლერმა კნიაზმა გორჩაკოვმა, გრაფმა კლარენდონმა, გრაფმა ბისმარკმა და ღენერალმა ლამარმორამ ოფიციალურად აცნობეს, რომ ისინი წავლენ პარიჟში კონფერენციის გასახსნელად. ავსტრიის გადაწყვეტილებას ჯერ კიდევ ელიან.

პ ა რ ი ჟ ი, 21 მაისს (2 ივნისს). ფრანცუზულს ჟურნალს Memorial Diplomatique 20 მისს (1 ივნის) ვენიდამ ტელეგრაფით აცნობებენ: ავსტრიის პასუხს გადასცემენ პარიჟში კვირას 22 მაისს (3 ივნის). იმისი უმთავრესი აზრი ეს არის. ავსტრია არ მოითხოვს არავითარს შეცვლას მიწებისას და სურს, რომ სახელმწიფოებიც ამ გვარად მოიქცნენ. მაგრამ, თუ ვინიცობაა მშვიდობიანობის დაცვისათვის სასარგებლოდ და საჭიროდ შერაცხეს მიწების გაცვლა, მაშინ ავსტრია მზად არის დათანხმდეს, რომ თავისუფლად და გულ-წრფელობით განსაჯოს კანონიერი სიმართლე ერთის მხრისა და შედავება მეორეს მხრისა.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 6 ივნისს.

პრუსსიამ გამოუცხადა ომი საქსონიას და შეიყვანა ამ სახელმწიფოში ჯარი. პრუსსიელები შევიდნენ ჩრდილოეთის განნოვერში. ავსტრიის იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი ომიანობაზედ. ავსტრიელებს დრეზდენში მიელიან.

## სალიტერატურო ნაწილი.

### ისტორიული მოძრაობა განათლებისა.

V

შეიძლება ვთქვათ, რომ ევროპამ მიიღო პირველი მოძრაობა არაბების ცივილიზაციის გავლენით. ევროპაში იწყეს ბერძნულის მეცნიერების შეთვისება არაბულის წყაროებიდამ: ბერძნულს მწერლებს სთარგმნიდნენ არაბულის ენიდამ, და ერთის სიტყვით, ყოველივე, რაცკი არაბებისაგან იყო შეძენილი, ევროპიელთ გამოჰქონდათ თავიანთ ქვეყნებში. თვითოეულს სახელმწიფოში დაფუძნდა საერო შკოლები, რომელშიაც სწავლობდნენ ვაჭრების შვილები და ვინც სამღვდელოთ ემზადებოდა. დროს განმავლობაში გამრავლდა ვაჭრობით განსაკუთრებითი უწყება, რომელმაც შეადგინა საშუალო კლასსი. ამ კლასსის შემწეობით კაროლებმა ცოტ-ცოტათ შეასუსტეს მძლავრი ფეოდალები და ბოლოს დროს დააფუძნეს თვით-მპყრობელობა და ძრიელი სახელმწიფოები. საშუალო კლასსმა უფრო იმ დროდამ აღმოიჩინა თავი, როდესაც ევროპიელებმა იწყეს საჯვაროსნო ლაშქრობა სელჯუქის თურქების მაჰმადიანებზედ, რომელთაც დაიჭირეს მთელი მცირე-აზია, დაიპყრეს პალესტინა და ქრისტეს საფლავი. მთელი ევროპა აღიჭურვა იმათზედ. ჯვაროსნობა განიგრძო მეთერთმეტეს საუკუნიდამ მეცამეტის საუკუნის გასვლამდე. მონაწილეობას იმათში მიიღებდნენ უფრო უმაღლესნი კლასსნი, რომელნიც გამგზავრების წინ ანთავისუფლებდნენ თავიანთს ყმებს და მამულებს ქრისტეს გულისთვის, ანუ ჰყიდნენ იმათ, ანუ შესწირავდნენ ეკკლესიებს და მონასტრებს. საშუალო კლასსმა შეისვენა და თავისუფალი დრო შესწირა ცოდნას, აღებ-მიცემობას, შრომას. ამ დროდამ დაიდვა საფუძველი ნამდვილის ცივილიზაციისა, რომელიც შეუსუსტებლივ მოძრაობს წინ: დედა-ქალაქებში დაფუძნდა უნივერსიტეტები, რომელთაც რიცხვი უფრო და უფრო მრავლდება. საჯვაროსნო დროიდგან დაიდვა საფუძველი ევროპის დამოკიდებულებისა აღმოსავლეთთან: გახშირდა მოგზაურობა; შეიტყეს აქაური ზნეობა და ყოფა-ცხოვრება; გაიხსნა გზა აზიის სავაჭროსთვის, რომელიც უფრო და უფრო ხშირდებოდა. საშუალო საუკუნოებში ვიზანტიის ბერძნები წინ იყვნენ განათლებით ევროპიელებზედ. შემდეგ ამ იმპერიის დაპყრობისა ოსმალებისაგან კონსტანტინოპოლიდამ განიდევნნენ ბერძნები, რომელთ შორისაც იყვნენ მრავალნი ნასწავლნი და მეცნიერნი. იმათ უფრო იტალიას მიჰმართეს, სადაც ადგილობრივმა მთავრებმა იმათ მფარველობა მიაგეს. ბერძნებმა განაღვიძეს სწავლა, პოეზია, არხიტექტურა ანუ შენობის ხელოვნება. აქედამ ეს წარმატება გავრცელდა სხვა სახელმწიფოებში.—ამ დროს ეწოდება ისტორიაში დრო სწავლის და ხელოვნების აღმოშობისა (renaissance—возрожденіе). აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი შესანიშნავი შემთხვევა. მეთხუთმეტეს საუკუნეში შემოვიდა საზოგადო ხმარებაში თოფის წამალი, რომლის მოგონებასაც მიაწერენ მეცამეტეს საუკუნეს. აქამომდე არ იყო დაწესებული წყობა ჯარებისა: თვითოეული მიიღებდა მონაწილეობას ბრძოლაში და რადგანაც ბრძოლა იყო ხშირი, ამისთვის ამაში ყველანი გაბმულნი იყვნენ. საჭირო საქმისთვის, ესე იგი შრომისთვის, კეთილდღეობის და სწავლის შეძინებისთვის, ხალხს მცირე დრო ჰქონდა. თოფის-წამლის მოგონებას შეუდგა შემოღება ახალის იარაღებისა: თოფისა, დამბაჩისა, ზარბაზნებისა; დაწესდა სამხედრო სწავლა; ამ სწავლამ მოითხოვა განსაკუთრებითი სამხედრო უწყება, რომელიც შესდგებოდა შედარებით მცირედის ნაწილისაგან. ამ ტვირთისაგან განთავისუფლდა დანაშთენი უმრავლესი ნაწილი ხალხისა, რომელიც დაუბრკოლებლივ დაადგა წარმატების გზას.—გარდა ამისა მეთხუთმეტის საუკუნის გასულს კოლუმბმა იპოვა მთელი ხმელეთი, ამერიკა, ოკეანის იქით. გახშირდა და წარმატებაში შევიდა ხომალდით სიარული ზღვაში. ევროპიელებმა დაიპყრეს მთელი ეს მხარე; შემდეგ ამისა ვხედავთ, რომ აქედამ ევროპის სახელმწიფოებში შემოდის დიდ-ძალი სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი. რა საკვირველია, სწავლამ უფრო მომატებული შეიძინა. აქ დასახლდნენ ევროპის კოლონიები, რომელთაგანაც შემდეგში აღყვავდა სწავლით და თავისუფლის მმართველობით ჩრდილოეთის შეერთებული შტატები. ამითი არ იკმაყოფილა ამ საუკუნემ. ამ დროს ერთმა სტრასბურგის ქალაქის ნემეცმა, გუტტემბერგმა, მოიგონა ბეჭდვა და ამით განსაკუთრებითი მოძრაობა მისცა განათლებას; გამრავლდა დაბეჭდილი წიგნები, რომლების მოპოება ხალხს გაუადვილდა. თვით წერა იწყეს ევროპის ხალხთ საკუთარს ენებზედ, მაშინ როდესაც უწინ, როგორც სამღთო წირვა-ლოცვისათვის, აგრეთვე ყოვლის წერილისათვის და სამეცნიერო წიგნებისათვის, ერთი ენა იყო მიღებული, ლათინური, რომელიც ესმოდა მხოლოთ მცირე ნაწილს, ნასწავლთ, და რომელიც საზოგადო გონების გახსნას და სწავლის გავრცელებას დაბრკოლებას აძლევდა.—ამ დროს საშუალო საუკუნოების განმავლობაში ადგილ-ადგილ დაწესდა თავისუფალი მმართებლობის ფორმები და პარლამენტები, სადაც მონაწილეობა ჰქონდა უმაღლესის კლასსის გარდა საშუალო უწყებასაც, და სადაც სახალხოს და სახელმწიფო საგნებს განიხილავდნენ და გადასწყვეტდნენ. ამ შემთხვევაებმა, რომელნიც უჩვენეთ მეთექსმეტეს საუკუნეში, მთელი ევროპა შესძრა და აღმოაჩინა რეფორმაცია. რეფორმაციამ აუტეხა ბრძოლა კათოლიკობას, რომელსაც აქამომდე თავისის გავლენით მთელი ევროპის აზრი შებორკილებული ჰყვანდა. რეფორმაციამ გაანათავისფლა ევროპა ამ შებორკილებისაგან.—შემდეგ ამისა ვხედავთ, რომ დროითი დრომდე აღმოჩნდებიან დიდის ნიჭით შემკულნი პირნი, რომელნიც კაცობრიობას უჩვენებენ ახალს აზრებს გონების და ცხოვრების სფერაში. აქ საკმაო იქნება მოვიხსენოთ უპირველესნი იმათგანნი, რომელნიც ბრწყინავდნენ მეჩვიდმეტეს საუკუნეში. იტალიელმა გალილეიმ განგვიმარტა პირველათ კოპერნიკისაგან გამოთქმული აზრი (კოპერნიკი იყო პოლშელი; ის სცხოვრებდა მეთექსმეტეს საუკუნეში), რომ ქვეყანა უვლის მზესა და არა მზე ქვეყანასა; დიდმა ანგლიის მათემატიკოზმა ნიუტონმა გვიჩვენა საფუძველი მსოფლიოს აგებულებისა და მოძრაობისა: იმან აღმოაჩინა კანონი მსოფლიოს მიმომზიდაობისა (тяготѣнія), ესე იგი ზეციურის მნათობების ურთიერთი დამოკიდებულება და მიზიდვა; ამ თეორიით პლანეტები უვლიან მზესა, მთვარე ჩვენს ქვეყანასა; იმან განგვიმარტა კომეტების ანუ კუდიანის ვარსკვლავების თვისებანი და მიმართულებანი, მოქცევა და მიქცევა ზღვისა 24 საათის განმავლობაში. ბეკონმა ანგლიაში და დეკარტმა ფრანციაში სრულებით შეარყიეს ძველი ფილოსოფია, რომელსაც ნამდვილი საფუძველი არა ჰქონდა და ამისთვის ის იყო უნაყოფო. უველაზედ უკეთესათ ბეკონმა უჩვენა ახალი საფუძველი, რომელიც მდგომარეობს ფაქტების შეგროვებაში და ამ ფაქტებზედ სწავლის აშენებაში.

რომ კარგათ შევიძლოთ ბეკონის დაფასება, უნდა მოვიხსენოთ, რა თვისება ჰქონდა იმის წინ მეცნიერებას ევროპაში. ჩვენ უწოდებთ იმას სხოლასტიკურს ფილოსოფიას, სხოლასტიკას. იმისი საფუძველი ადრევე დაიდო; მერვის საუკუნის გასულს იმპერატორმა კარლე-დიდმა შკოლები დააწესა მონასტრებში. აქ ასწავლიდნენ გრამმატიკას, არითმეტიკას, ღვთის-მეტყველებას. აქ ღვთის-მეტყველება და ფილოსოფია შეერთებულნი იყვნენ. ჯერ (IX—XII საუკ.) ფილოსოფია სრულებით ღვთის-მეტყველების გავლენას ქვეშ იმყოფებოდა; პლატონის იდეებს დიდი პატივი ედვა. შემდეგ (XIII—XIV) ფილოსოფია შეუთანასწორდა ღვთის-მეტყველებას; პლატონი დაეცა: იმისი ადგილი დაიჭირეს არისტოტელის მეცნიერებამ და არაბებისაგან შემუშავებულმა სწავლამ; დაიდვა საჭირკველი დიალექტიკისა ანუ ბაასისა სამეცნიერო საგნებში. ვინც უკეთ შეადგენდა სილლოგიზმებს, ვინც უფრო დახელოვნებით ილაპარაკებდა ანუ დასწერდა, რაზედაც უნდა ყოფილიყო, ის იყო განვითარებული მეცნიერი, თუნდა რომ ცხადის სიცრუვის მეტი არა ყოფილიყო რა იმისს სიტყვებში. ნამდვილს ფაქტებს და ჭეშმარიტებას არ უყურებდნენ. ეს იყო სხოლსტიკის თვისება. ბოლოს დროს (XIV—XV ს.) ფილოსოფია ღვთის-მეტყველებას ცოტ-ცოტათ გაეყარა. სხოლასტიკურს ფილოსოფიას ისეთი ძალა არსადა ჰქონია, როგორც პარიჟის უნივერსიტეტში. აქ მეცნიერების მეძიებელნი ათასობით იკრიფებოდნენ ყველა მხრის სასწავლებლებიდამ.—აი რა იყო ის ფილოსოფია, რომელსაც ბეკონმა სრულებით ბოლო მოუღო.—

აწინდელის საგნების წარმატება არის დამყარებული ამ საფუძველზედ, რომელიც გვიჩვენეს ზემოთ მოხსენებულმა მეცნიერებმა. იმათ გავლენას ქვეშ ცივილიზაცია უფრო და უფრო მოძრაობს: ფრანცია აღმოაჩენს დაკავშირებას ანგლიასთან, რომელიც განათლებით და თავისუფლებით წინ იყო პირველზედ და რომლის მეცნიერება ცხადათ მოქმედებს იმაზედ. ფრანციაში იმ დროს ვხედავთ დიდს მეცნიერებს—ვოლტერს, მონტესკიეს, ბუფფონს, რუსსოს და სხვებს; ესენი დაუცხრომელის შრომით ბუნებითს საგნებში, ისტორიულს თხუზულებაეში, პოლიტიკურს მსჯელობაში შესძრეს საზოგადოებას და ცდილობენ, რომ ყოველივე ძველი უწესოება და ამაო-რწმუნება ამოჰკვეთონ. იმათის აზრით გაიხსნება სტამბები, იბეჭდება მრავალი პამფლეტები, რომელნიც ჩვენის ჟურნალების მაგიერნი იყვნენ, რომელნიც უფრო და უფრო აღვიძებენ ხალხს. ამ დროს ცოდნამ მეთექსმეტეს საუკუნეში ასტეხა ფრანციის რევოლუცია, ამ რევოლუციამ გაანთავისუფლა დაბალი ხალხი უმაღლესის კლასსების მონებისაგან.

იმ დროდგან აქამომდე ნამდვილი ცოდნა უფრო და უფრო ვრცელდება. ეს ცოდნა სხვა და სხვა ღონისძიებით ამოჰკვეთს ძველის დროდგან დაშთენილს უწესოებას, რომელიც ახალს აზრს არ ეთანხმება: ეს ღონისძიება არის ორ-გვარი: ხალხის მოძრაობა და მშვიდობიანური რეფორმები. (შემდეგი იქნება).

## სახაზინო განცხადებაები.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 21.)

1) გზების გამკეთებელი VIII ოკრუგის სასამართლო მოიწვევს მსურველებს, რომ იჯარით აიღონ მოტანა ერთის წლის სამყოფი ქვის ნამტვრევებისა შემდეგის შოსსეებისთვის 1) ქუთაისის—ორპირის შოსსესთვის, რომელიც იწყობა არქიელის სახლიდამ ქ. ქუთაისში და მიდის ორპირის ხიდამდის, ამ შოსსეს სიგრძე არის 36 ვერსი და $9\,^1/_4$ საჟენი. თითო ვერსს მოუნდება ნამტვრევი ქვა 8 კუბ. საჟენი. 2) დუშეთის და ანანურის შოსსესთვის ანდრიას წისკვილიდამ ანანურამდის. სიგძე ამ შოსსესი არის 73 საჟ. თითო ვერსს მოუნდება 6 კუბ. საჟ. ქვის ნამტვრევი და 3) პრიშიბიე—მაკლინის შოსსესთვის პრიშიბსკის სტანციიდამ პროხლადნის სტ. სიგრძით 9 ვერსი და 402 საჟ. თითო ვერსს მოუნდება ქვის ნამტვრევი 6 კუბის საჟენი.

ტორგი მოხდება ტფილისში ზემოხსენებულს სასამართლოში 23 ივნისს და პერეტორჟკა—27 ამავე თვეს.

მეტორგეებმა უნდა წარმოადგინონ ცალკცალკე ფასი ამ შოსსების სხვა და სხვა ნაწილებისთვის. ამ ნაწილების იჯარით მიცემა შეიძლება შეხვდეს სხვა და სხვა პირებს ან არა და ერთს პირს, თუ ვინმე მოისურვებს და თუ ხაზინას აქედგან სარგებლობა მიეცემა რამე.

## კერძოობითი განცხადება.

შესაქცევარი საღამოები.

მუშტაიდში მთელს ზაფხულს ხუთშაბათობით და კვირაობით იქნება ხოლმე ორკესტრის მუზიკა, რომლის დირიჟორათ უფ. სულთანოვიჩი არის. ტფილისის ტეატრის ხორისტები იგალობებენ ხოლმე. კვირაობით ფეიერვერკები იქნება. შესვლა 75 კაპ. არის, ქალები კი უფასოთ შევლენ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го іюня 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.